



**სსიპ სივრცითი და  
ქალაქთმშენებლობითი  
განვითარების სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზ. N154  
0112 თბილისი, საქართველო  
www.suda.gov.ge  
info@suda.gov.ge

21 / თებერვალი / 2025 წ.



KARR0106779635225

№ 04/196

სსიპ სახელმწიფო ქონების  
ეროვნული სააგენტოს  
სახელმწიფო ქონების  
გაყიდვების მხარდაჭერის  
სამსახურის უფროსს ბატონ  
ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ (შემდგომში - "სააგენტო") განიხილა თქვენი 2025 წლის 5 თებერვლის № 6/5720 (რეგისტრირებული დოკუმენტის ნომერი 126/21/21 თარიღი: 05.02.2025) მომართვა, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, დაბა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე (ტურბაზა ყაზბეგის მიმდებარედ) არსებული 4243 კვ.მ მიწის ნაკვეთის (რომელიც მოიცავს 64.30.06.276 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილს 2598 კვ.მ და დაურეგისტრირებელ 1645 კვ.მ ფართობს) დანართით წარმოდგენილი კონფიგურაციის შესაბამისად პრივატიზების საკითხი.

გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის ნაწილი (1750 კვ.მ.) მდებარეობს „ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე და მათ მომიჯნავედ, განაშენიანების დეტალური გეგმის არეალში შემავალ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 დეკემბრის №1914 განკარგულებით დამტკიცებულ განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის ფარგლებში.


აღნიშნული კონცეფციით დაინტერესებაში არსებულ 1750 კვ.მ. ნაკვეთიდან დაგეგმილია 515 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გამოყოფა სამშენებლოდ განვითარებისათვის (კოტეჯი), ხოლო დანარჩენი ნაწილი განკუთვნილია სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის (იხ.დანართი 1).

რაც შეეხება დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილს (2493 კვ.მ.) აღნიშნული მონაკვეთი მდებარეობს № 18 საპროექტო ტერიტორიის გარეთ და "ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიის ქალაქთმშენებლობითი გეგმების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 დეკემბრის № 591 დადგენილებით დამტკიცებული გენგეგმის შესაბამისად განთავსებულია ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე, რომლის სამშენებლოდ განვითარებაც შეზღუდულია (იხ.დანართი 2).

დანართი: 2 (ორი) გვერდი.


პატივისცემით,

სსიპ-სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი  
განვითარების სააგენტოს უფროსი



იონანე მენაბდე





- 4243 კვ.მ მიწის ნაკვეთი
- ▨ მე-18 თემატური არეალი (1750კვ.მ)
- ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია (ლტ) (2493კვ.მ)

18

18

17

17

